საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №161/18
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 12 ივნისის №161 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოში საჩივარი შევიდა 2015 წლის 15 ოქტომბერს, ხოლო მისი განხილვა მოხდა 2018 წლის 27 მარტს, თითქმის სამი წლის შემდეგ. ამ პერიოდის განმავლობაში, საჩივრის ავტორის განმარტებით, არაერთხელ მიმართა სასამართლოს განცხადებით საქმის განხილვის დაჩქარების თაობაზე.

1.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ დასაბუთებული განჩინება მხარეს გადასცა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან თითქმის ორი თვის შემდეგ, როცა აღნიშნული განჩინების გასაჩივრების კანონით დადგენილი საპროცესო ვადა ამოწურული იყო.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 7 აპრილს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარების დავალების მოთხოვნით.

2015 წლის 3 ივნისს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. 2015 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით -- -- სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

2015 წლის 16 ოქტომბერს სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში -- -- და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

2015 წლის 28 ოქტომბერს მოსამართლე -- -- განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა; ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10 დღის ვადა.

2015 წლის 30 ნოემბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად. 2015 წლის 14 დეკემბერს მოპასუხე მხარემ წარადგინა სააპელაციო შესაგებელი.

2016 წლის 17 მარტს მოსამართლე -- -- სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 11 ოქტომბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს სასამართლო სხდომის ჩანიშვნის თხოვნით. 2018 წლის 5 მარტის განჩინებით დაინიშნა საჩივრის ზეპირი განხილვა 2018 წლის 27 მარტს.

2018 წლის 27 მარტის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. 2018 წლის 21 მაისს შედგენილი აქტის მიხედვით 2018 წლის 27 მარტის დასაბუთებული განჩინება საქმეთა სიმრავლის გამო მომზადდა 2018 წლის 21 მაისს. 2018 წლის 14 ივნისს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2018 წლის 2 ივლისის განჩინებით -- -- დაევალა ხარვეზის შევსება. 2018 წლის 20 ივლისის განჩინებით -- -- გაუგრძელდა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა. 2018 წლის 17 სექტემბრის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2017 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 576 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 406 საქმე (70%), ხოლო 2018 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 531 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 310 საქმე (58%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 19 ოქტომბრის დასკვნა:

3.1. -- -- 2018 წლის 12 ივნისის №161 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

3.2. -- -- 2018 წლის 12 ივნისის №161 საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება:

დაიწყო დისციპლინური დევნა და მოსამართლე -- -- ჩამოერთვა ახსნა-განმარტება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა) შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

5. მოსამართლე -- -- 2020 წლის 9 ოქტომბერს წარმოდგენილი ახსნა-განმარტება:

მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს მითითებული პერიოდისათვის მის წარმოებაში არსებული საქმეების, სამუშაო განრიგის და რეჟიმის თაობაზე და აღნიშნავს, რომ საქმეთა სიმრავლის, გარკვეული კატეგორიის საქმეთა სირთულის, საქმის მასალების მოცულობის და დასახელებული ოდენობით მათი ზეპირი განხილვის პირობებში, განსაკუთრებულად შრომატევადია და შესაბამის დროს მოითხოვს მათი

მომზადება ზეპირი განხილვისათვის, დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადება, ასევე სხვა მიმდინარე სამუშაო, რაც შესასრულებელია სასამართლო სხდომებისაგან გამოთავისუფლებულ დროს. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დაცვა შეუძლებელი იყო დასახელებული ობიექტური გარემოებების გათვალისწინებებით.

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №1/20 განკარგულებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2022 წლის 6 მარტიდან გათავისუფლდა თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2018 წლის 12 ივნისის №161 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის - -- -- მიმართ.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი